ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3520089

ნომერი: AR1535789

თარიღი : 29.08.2017

გაცემის თარიღი : 13.09.2017

გაცნობის თარიღი : 25.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შორაპნის , N 34 , (ნაკვ. 26/47) / ქალაქი თბილისი , ქუჩა შორაპნის , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოტენაშვილი პ/ნ 01005023118
- თბილისი გოგოლაურის ქ. კორ. 18 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

29 აგვისტოს №AR1535789 განცხადებით მომართა მოქ. ნინო ხოტენაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შორაპნის ქ. №34-ში, (ნაკვ.26/47/ ქ. თბილისში, შორაპნის ქ. №34-ში, მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.026.102), დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
ასევე ირკვევა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2949926 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის #2829666 ბრძანებაში, კერძოდ: სარდაფის ფართობად დაფიქსირდა 214.53 კვ.მ., ხოლო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 159.28 კვ.მ., ხოლო ამავე სამსახურის 2017 წლის 12 ივნისის №3316687 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: -3.250 მიშნულზე დამხმარე სათავსოების ფართობი 180.666 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 12.02 კვ.მ , დერეფნისა და ლიფტის შახტის ფართობი 33.87 კვ.მ, შესაბამისად სარდაფის საერთო ფართობი 226.556 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: სარდაფის საერთო ფართობად დაფიქსირებულია 226.55 კვ.მ ნაცვლად 214.48 კვ.მ-სა.

სამსახურმა 2017 წლის 29 აგვისტოს №AR1535789 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: სარდაფის საერთო ფართობად დაფიქსირდეს 214.48 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის“: 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666, 2016 წლის 08 დეკემბრის №2949926 და 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.